ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, №13 (ს.კ. 01.10.13.016.033) ბენზინგასამართი სადგურის პროექტის

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, №13 (ს.კ. 01.10.13.016.033) ბენზინგასამართი სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხოვანი გრუნტები, პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=2,0 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-50კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, შენობა ერთსართულიანია, არ აქვს სარდაფის სართული.

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია ლითონის ჩარჩოები, სახურავის გადახურვით, პროფილირებული თუნუქის ბურულით.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია, მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკველი, საფეხუროვანი მეთოდით, ზომები გეგმაში 130x130 სმ. სისქით 30(h) სმ. ბეტონის კლასით B25. საძირკველი ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია ერთ დონეზე.

სვეტები, ლითონის დგარები, მილი Ø230x10 მმ.

რიგელები, ლითონის კოჭები, 2 შველერი №27. განლაგებულია სხვადასხვა დონეზე.

ფარდულის გადახურვისათვის, ლითონის კოჭები, შველერი №20. და მართკუთხა მილი 200x120x4 მმ. განლაგებულია სხვადასხვა დონეზე.

სახურავის გადახურვა, პროფილირებული თუნუქის ბურულით.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, №13 (ს.კ. 01.10.13.016.033) ბენზინგასამართი სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება, სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,, LIRA – SAPR 2016''. გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში,
СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობის პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, №13 (ს.კ. 01.10.13.016.033) ბენზინგასამართი სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი,
საინჟ. მეცნ. დოქტორი:
მობ. 593 28 34 58



ჯ. ვაშაკიძე

07.08.2026